

ილია
წინამძღვრიშვილის
სახელობის
კოლეჯი

140

წლისაა





წიგნი ეძღვნება ქართველი ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწის – **ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილის** მიერ საქართველოში პირველი პროფესიული და ზოგადი განათლების ინტეგრირებული სასწავლებლის დაარსების (1983 წლის 4 სექტემბერი) **140** წლის იუბილეს



ავტორისაგან

ჩვენი თაობა ვალდებულია სწორად შევაფასოთ ძველი და ახალი მოვლენები და შესაბამისი დასკვნები გავაკეთოთ, ვიამაყოთ წარსულით, მაგრამ მარტო წინაპრების დამსახურების გამო, თვითკმაყოფილებას არ შეიძლება მივეცეთ, უნდა ვაკეთოთ ყველამ ჩვენი საკეთებელი საქმე, ამასთან მხოლოდ კეთება კი არა, იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება რას ვაკეთებთ და როგორ ვაკეთებთ, რის მიხედვითაც შთამომავლობის მიერ ვიქნებით შეფასებული. საქართველოს მრავალი თაობა ჰყოლია ღირსეული ადამიანები, რომლებმაც უკვდავყვეს სიცოცხლეშივე ნამოღვანარით თავისი სახელი. ამ წიგნში ასეთი ადამიანის ილია წინამძღვრიშვილისა და მის მიერ 1883 წელს შექმნილი სასწავლებლის შესახებ მინდა მოგიხსნათ. სასწავლებელმა მცირე (2008-2015 წ) პაუზის შემდეგ, გაიარა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და ოცდამეერთე საუკუნის შესაბამისი აღჭურვილობითა და სასწავლო ევროსტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებს საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებს.

წინამდებარე ნაშრომი შექმნილია მკითხველთა წრისათვის, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო მაჯისცემა და ამ მიმართულებით საქართველოში არსებული ერთ-ერთი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგ-



ლის სტატუსი მიენიჭა 2015 წელს. ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს 2023 წლის 4 სექტემბერს 140 წელი შეუსრულდა. კოლეჯის 135 წლის საიუბილეოდ გამოცემულ წიგნში გაშუქებულია მცირედი მასალა სასწავლებლის დაარსების შესახებ. 140-წლიანი კოლეჯის საიუბილეო წიგნის პირველ ნაწილში საჭიროდ ჩავთვალეთ გავაცნოთ მკითხველს სახელმწიფო საარქივო მასალიდან მოპოვებული სრული ინფორმაცია საგანმანათლებლო სასწავლებლის დაარსების შესახებ. წიგნის მეორე ნაწილში გაშუქებულია კოლეჯის რეაბილიტაციის შესახებ, 2015 წლიდან და შემდგომი 2023 წლამდე პერიოდის მიღწევები და იმ მნიშვნელოვანი როლის შესახებ, რაც აკისრია აგრარული სპეციალობების (არამარტო) პროფესიების მიმართულებით სწავლებისათვის.

ქანდაკებას შესახებ დაობა ამშვენებს, ადამიანს კი მისი საქმენი, ადამიანისგან მხოლოდ მისი საქმეები რჩება. ერთ-ერთი ასეთი, მამულიშვილური ხასიათის პიროვნება ბრძანდებოდა ილია წინამძღვრიშვილი, რომელმაც დააფუძნა მე-19 საუკუნეში ისეთი სასწავლებელი, რომელიც დღესაც პასუხობს საგანმანათლებლო სისტემის ისეთ მიმართულებებს, როგორცაა პროფესიული შესაძლებლობების შესწავლა. ეს არის ის ქანდაკება, რაც სახელის უკვდავსაყოფად დარჩა მისი გაკეთებული საქმიდან.

მეოცე ასწლეულმა ღრმა კვალი დატოვა კაცობრიობის ისტორიაში. მეოცე საუკუნეს შეიძლება ვუწოდოთ დიად გარდაქმნათა ეპოქა, მაგრამ იგი ამავე დროს დიდი რღვევის



ხანაც იყო, შეხედულებების, იდეოლოგიის, ღირებულებათა ცვალებადობა, ხალხთა დაყოფა და კვლავ გაერთიანება, ომები, სისხლი, აქამდე არ გაგონილი ავადმყოფობანი, ქვეყნის ერთ მხარეს უსაზღვრო ფუფუნება, მეორე მხარეს უკიდურესი სიღატაკე და სხვა პრობლემები. ეს იყო ამაყი საუკუნე, საუკუნე ნგრევისა და შენებისა, საუკუნე სავსე ტკივილით და ტანჯვით, ღირებულებათა გადაფასებით, გამორჩეული დიდი მიღწევებით. აი სახე მე-20 საუკუნისა.

21-ე საუკუნის ათწლეულებმაც თავისი კვალი დატოვა: ასეთი დაღლილი არასდროს ყოფილა ადამიანის მოდგმა, არასდროს მდგარა მსოფლიო ასეთი პანდემიისა და კატაკლიზმების წინაშე.

*სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
თეიმურაზ ასათიანი*



ნანილი I

პროფესიულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის დაარსება

ყველა ადამიანს თავისი ცხოვრების ტვირთი აქვს სატარებელი, ძნელია ზოგჯერ მიხვდე რომელია შენი ტვირთი და რომელია სხვისა, მაგრამ მთავარია არ შეგვაშინოს ჩვენი წილხვედრი ცხოვრების ტვირთმა.

სანამ სკოლის დაარსების ისტორიას გაგაცნობთ, ვერ თვით ილია წინამძღვრიშვილის შესახებ მოგახსენებთ.

არაგვის თვალწარმტაცი ხეობის მარცხენა მხარეს, ცაცხვის გორის ფერდობზე, მდინარე თეძამთან მდებარე პატარა კოპნია სოფელ წინამძღვრიანთკარში, რომელიც საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არჯაკელად იწოდებოდა და მაშინდელ დუშეთის მაზრაში შედიოდა, 1834 წლის I-ელ სექტემბერს დაიბადა ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი. ირკვევა, რომ წინამძღვრიშვილთა წინაპარი სასულიერო პირი ყოფილა, მიუღია წინამძღვრობის ხარისხი, რაც მის შთამომავლობას გაჰგვარებია და წოდებულა წინამძღვრიშვილად და „არიან ცნობილ დროსა თამარ მეფისა, წელსა 1202-ს და იწოდებიან მუნ ჟამიდან წინამძღვრიშვილები და არიან ტრაქტატსა შინაც მოხსენიებულნი“ (ჟურნალი ივერია 1884 წლის აპრილის, მაისის და ივნისის ნომრების დამატება). პატარა ილიას დედამ, მელანია, ქართული მწერლობის კარგმა მცოდ-



ნემ, შეაყვარა თავის ერთას, მშობლიური ლიტერატურა, უღვივებდა პატარას სწავლის სიყვარულს. ილიას სწავლისადმი სწრაფვამ განაპირობა, რომ მამამ მიაბარა იგი თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში (დღევანდელი პირველი საშუალო სკოლა), რომელიც წარმატებით დაამთავრა 1855 წელს. ილიას სურვილი ჰქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების, მაგრამ ვერ განახორციელა სხვადასხვა მიზეზთა გამო. დაამთავრა აგრარული მოკლევადიანი კურსები და მუშაობას მამის მეურნეობაში შეუდგა.

ილია წინამძღვრიშვილის მეუღლე, ოღლა არღუთაშვილი, მეტად მომხიბვლელი, სათნო და კაცთმოყვარე ადამიანი ყოფილა. მას ძლიერ უყვარდა ქმრის სოფელი, დაჩაგრული გლეხობა და მონადინებული იყო მათთვის სკოლა გაეხსნა, რასაც ილიაც ეთანხმებოდა და თანაუგრძნობდა. სამწუხაროდ, მათი ოჯახური ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, ოღლა ექვსი თვის ფეხმძიმე სახლის კიბიდან ჩამოვარდნილა. მას შემდეგ, რაც თბილისში ვერ აღმოუჩინეს დახმარება, საყვარელი მეუღლე ილიას სამკურნალოდ საფრანგეთში წაუყვანია, მაგრამ მომაკვდავს ვერაფერი უშველეს, იგი გარდაიცვალა პარიზში. მეუღლის ნეშტი ილიამ საფრანგეთიდან საქართველოში ჩამოასვენა და სოფელ წინამძღვრიანთკარში, თავის მამულში დაასაფლავა. სამარეზე კი ეკლესია ააგო. ტაძარი მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა და დღესაც მოქმედია. ილიამ მწარედ განიცადა მეუღლის დაკარგვა და



რადგან შვილი არ დარჩა, გადაწყვიტა სხვათა შვილებისთვის გაენია მამობა, მეუღლისა და თავისი სურვილი განეხორციელებინა და წინამძღვრიანთკარში სოფლის გამოსადეგი სკოლა გაეხსნა.

ილიამ კარგად განჭვრიტა, რომ გლახთა შვილებისათვის მარტო წერა-კითხვის ცოდნა საკმარისი არ იქნებოდა და ამიტომაც გადაწყვიტა გაეხსნა პრაქტიკული სასოფლო-სამეურნეო სკოლა, დაკავშირებული მნიგნობრობის სკოლასთან. ასეთი სკოლის დაარსება იმ დროისათვის არა თუ ძნელი, მიუღწეველიც კი იყო. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია თავგამოდებით იბრძოდა სასოფლო-სამეურნეო კერების დაფუძნებისათვის და განვითარებისათვის. როგორც ცნობილია, 1832 წელს, თბილისში და 1851 წელს, ქუთაისში, შეიქმნა ეგრეთწოდებული „სანიმუშო მეურნეობები“, რომლებსაც მებაღეობის სკოლებსაც უწოდებდნენ. ამ სკოლების მატერიალური ბაზა მეტად სუსტი იყო და ისინი მალევე დაიხურა.

ილია წინამძღვრიშვილი თავიდანვე ხალხის სამსახურით იყო დაინტერესებული, მისი სამოღვაწეო გეგმა ფართო ამოცანებს ისახავდა, მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობიდან კი, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მისი შეუწყლებელი ბრძოლა განათლების, კერძოდ კი სასოფლო-სამეურნეო დარგების განათლების გავრცელებისათვის. ილია წინამძღვრიშვილმა, ჯერ კიდევ 1881 წელს აცნობა ქართველ საზოგადოებას, თავისი უანგარო სურვილი



წინამძღვრიანთკარში, თავის საკუთარ მამულში, სამეურნეო სკოლის გახსნის ინიციატივის შესახებ (გაზეთი დროება №27) და შეუდგა სამზადისს სკოლის გახსნისათვის. იაკობ გოგებაშვილის გადმოცემით, ილია წინამძღვრიშვილმა შეკრიბა იმ დროისათვის ცნობილი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები, მცოდნე პირები, შეუდგენია კომისია, რომელშიც შედიოდნენ ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ა. ქართველიშვილი, ნიკო ცხვედაძე, ა. წერეთელი, რ. ერისთავი, მ. ბებუთიშვილი, აგრონომი ვიქტორ მავესკი და სხვები, სულ თორმეტი კაცი, რომელთაც უნდა დაემუშაებინათ სკოლის გეგმა, პროგრამები და წესდება. დადგინეს სკოლის პროფილი, სწავლების ხანგრძლივობა და პროგრამის მოცულობა. ილია წინამძღვრიშვილმა სკოლის ძირითად მიზნად განსაზღვრა ზოგადი განათლების მიცემა და სასოფლო-სამეურნეო საქმის სწავლება (მინათმოქმედება, მეღვინეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მებაზრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მეტყევეობა), სადაც პირველი ოთხი წელი ზოგად დაწყებით განათლებას ეთმობოდა, ხოლო დანარჩენი ორი წელი პროფესიულ სწავლებას. სასწავლო პროგრამები შედგა ნიკო ცხვედაძის უშუალო მონაწილეობით და საზოგადოებრივი განხილვის მიზნით გამოქვეყნდა ჟურნალ „დროებაში“. პროექტის მიხედვით, სკოლის მიზანი იყო ქართველი ბავშვებისათვის სასწავლო მეცადინეობებით ჯერ ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ-თეორიული სწავლებით დაწყებითი განათლების მიცემა, შემდეგ კი მათი პრაქტიკული მეცა-



დინებებით სასოფლო – სამეურნეო ცოდნით შეიარაღება.

დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომლის აქტიური და უშუალო მონაწილეობით შედგენილი იქნა ამ სასოფლო-სამეურნეო სკოლის სწავლის გეგმა, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ზოგად დაწყებით განათლებას, პროფესიული განთლებისათვის მყარი ნიადაგის შექმნაში. იაკობ გოგებაშვილი მოითხოვდა, რომ სწავლება სასოფლო – სამეურნეო სკოლაში მთელი 6 წლის მანძილზე მშობლიურ (იმ დროისათვის საქართველოში ყველა სწავლებელში მხოლოდ რუსული ენა ისწავლებოდა) ენაზე წარმართულიყო. ხოლო რუსული ენის სწავლება დაწყებულყო მესამე წლიდან, მას შემდეგ, რაც ყმანვილები მშობლიურ ენას კარგად აითვისებდნენ. „სამართლიანობა მითხოვს ვთქვა, რომ მე მეკუთვნის მხოლოდ გეგმა სწავლისა და განმარტებითი წერილი, პროგრამები კი უმთავრესად შედგენილია ნიკო ცხვედაძის მიერ“ (იაკობ გოგებაშვილი).

სკოლაში ქართულ ენაზე სწავლების წინააღმდეგი იყო კავკასიის გუბერნატორი, რადგან, როგორც ცნობილია, 1801 წელს, რუსეთის ანექსიის შედეგად, საქართველოში შეწყდა ქართულად სწავლა-განათლება. ამისათვის კომისიის წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი უსათუოდ დაუპირისპირდებოდა ამ გადაწყვეტილებას, რომ სწავლება ქართულ ენაზე ყოფილიყო და სამეურნეო სკოლა



გაუხსნელი დაგვრჩებაო. მართლაც, იანოვსკიმ გაილაშქრა ი. გოგებაშვილის მოსაზრების წინააღმდეგ, მაგრამ დიდ პედაგოგს გადაწყვეტილება მაინც ვერ შეაცვლევინა. მან კატეგორიული უარი განაცხადა ყოველგვარ დათმობაზე და საქმეში კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილის (ილია ჭავჭავაძის ქვისლის), დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკის ჩარევა გადაწყვიტა. იაკობმა შეშფოთებული წინამძღვრიშვილი ასე დააწყნარა: „დავწერ ვრცელ განმარტებით წერილს ჩვენი სასკოლო პლანისას და თქვენ წარუდგენთ სტაროსელსკის“.

ი. გოგებაშვილი თავის განმარტებით წერილში ემყარებოდა პედაგოგიკური მოძღვრების მეცნიერულად სწორ დებულებებს, რომელთა მიხედვითაც საგნების ადვილად და სწრაფად შეთვისებისათვის საჭიროა ბავშვები გარკვეულ ასაკამდე სწავლობდნენ და ვარჯიშობდნენ მათთვის გასაგებ მშობლიურ ენაზე; გარდა ამისა, იშველიებდა იმ გარემოებებს, რომ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა იყო კერძო სასწავლებელი და არა მთავრობის დაწესებულება. იაკობ გოგებაშვილის გონიერებამ და მისმა ბარათმა გაჭრა. ასევე, დიდი როლი ითამაშა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომელთა შორის იყვნენ ილია ჭავჭავაძე და ივანე პოლტარეცკი, რომელთანაც ილია წინამძღვრიშვილს, თბილისის გიმნაზიიდან ახლო ურთიერთობა აკავშირებდა. მხედველობაშია მისაღები ის



გარემოებაც, რომ იმ დღეებში მეფისნაცვალ კავკასიაში, დონდუკოვ-კორსიკოვი თბილისში არ იმყოფებოდა და მისი უფლებების გამოყენება შეეძლო კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მმართველს, გენერალ-ლეიტენანტ დ. სტაროსელსკის (ი. ჭავჭავაძის ქვისლი). დ.ს. სტაროსელსკიმ ხელი მოაწერა წინამძღვრიანთკარის სკოლის წესდებას და სასწავლო გეგმას, რის შემდეგაც 1883 წლისთვის უკვე დაამტკიცეს წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის (დანყებიითი კლასებითა და ფერმით) წესდება, სასწავლო გეგმა და პროგრამები. სკოლა უნდა დაქვემდებარებოდა კავკასიის სასწავლო ოლქს და ესარგებლა კერძო სკოლის უფლებით.

ილია წინამძღვრიშვილის დიდსულოვნებამ და ფოლადივით მტკიცე ხასიათმა თავისი გაიტანა და ჩვენმა სასიქადულო მამულიშვილმა, შესანიშნავად განახორციელა პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსება საკუთარი ხარჯებით, საკუთარ მამულში, სოფელ წინამძღვრიანთკარში.

ილიამ თავისი უძრავ-მოძრავი ქონება, სკოლას გადასცა სამუდამო სარგებლობაში. იმ დროისათვის, როდესაც კერძო საკუთრების იდეალი კულმინაციურ წერტილამდე იყო აყვანილი, ილია წინამძღვრიშვილის გადაწყვეტილება უაღრესად დიდ მოვლენას წარმოადგენდა. საზოგადო საქმისადმი ასეთი მიდგომა თავგანწირვისა და მამაცობის განსაცვიფრებელი მაგალითია. სანამ აღნიშნულ გადაწყვეტილებას მიიღებდა, ალბათ, ილია წინამძღვრიშვილს დიდი ბრძოლა დასჭირდებოდა ჯერ თავის თავთან, შინა-



განი წინააღმდეგობის დასაძლევად, რის გარეშეც შეუძლებელი იყო მაშინ, უარი ეთქვა მამა-პაპისეულ საკუთრებაზე, შემდეგ კი თავისი დროის საზოგადოებასთან, რომელიც იმ დროს სრულიად არ იყო მომზადებული კერძო საკუთრების უარყოფისათვის, რაც მას თავისი მიზნის განხორციელებაში ხელს უშლიდა, რითაც შეუმჩნეველი წინამძღვრიანთ-კარი საქვეყნოდ ცნობილი სოფელი გახადა.

ილია წინამძღვრიშვილმა საკუთარი მამულიდან სკოლას გადასცა 50 დესეტინა (60 ჰა) სახნავ-სათესი მიწის ფართობი ტყით, შენობები – კლასების, მუზეუმებისა და სახელოსნოებისთვის; მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი – თითოეული მასწავლებლისათვის ორ ოთახიანი ბინა, მოსწავლეთა საცხოვრებელი, ფურნე, თავლა მუშა და მენველი პირუტყვისათვის, 35 000 ვედროს ტევადობის აუზი. ღვინის სარდაფი 20 000 ლიტრის ტევადობით, სან-ნახელი, სასადილო ორი სამზარეულოთი და სარდაფით. სასოფლო-სამეურნეო საქმეთა აუცილებელ ხელობათა შესწავლისათვის, სკოლასთან ეწყობოდა სახელოსნოები, სადაც უნდა ესწავლებინათ: ხუროობა, მჭედლობა, ზეინკლობა, მეკასრეობა. სკოლის სასწავლო და საყოფაცხოვრებო შენობების ასაგებად ი. წინამძღვრიშვილმა მოიწვია ხუროთმოძღვარი ბელოვი და ინჟინერი მ. ბებუთიშვილი. ეს სამუშაოები შესრულდა ი. წინამძღვრიშვილის უშუალო ხელმძღვანელობითა და ხარჯით. მან დამატებითი შენობების ასაგებად, ავეჯის, სასწავლო საგნების, ინვენტარის შესაძენად, წყალსადენის მოსაწყობად, სასწავლო



მეურნეობის შესაღობად და გზების გაყვანისათვის სულ დახარჯა 99 243 მანეთი.

საქართველოს თითქმის ყველა სოფელი რაიმეთი არის სახელგანთქმული, მათ შორისაა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის, ყოფილი დუშეთის მაზრის, ერთ-ერთი უმშვენიერესი სოფელი წინამძღვრიანთკარი, რომელსაც სახელი გაუთქვა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლამ, რომელიც გაიხსნა 1883 წელს, წინამძღვრიანთკარის მკვიდრის, ილია წინამძღვრიშვილის საკუთარ მამულში, საკუთარი სურვილით და ინიციატივით და მისი გარდაცვლილი მეუღლის, ოლღა მიხეილის ასულ არლუთაშვილის ხსოვნის საპატივცემულოდ.

საბედნიეროდ „უკვდავი“ ადამიანები ბევრი ჰყოლია საქართველოს და ასეთი ადამიანების რიცხვს ეკუთვნის ილია წინამძღვრიშვილი, რომლის დასტურადაც არის დღეს, სოფ. წინამძღვრიანთკარში არსებული კოლეჯი. იგი არის სამართალმემკვიდრე 1883 წელს ილია წინამძღვრიშვილის მიერ, საკუთარ მამულში გახსნილი სასოფლო-სამეურნეო სკოლის, რომელიც დღეს ილია წინამძღვრიშვილის სახელს ატარებს. საქართველოში, სოფ. წინამძღვრიანთკარში აინთო პირველად, სასოფლო-სამეურნეო ცოდნის ჩირაღდანი, რომელიც დღესაც აგრარული მიმართულების პროფესიების სწავლებას ახორციელებს, ამაყად ატარებს ილია წინამძღვრიშვილის სახელს და ასრულებს იმ დიდ ტრადიციებს, რაც ერთ-ერთ ურთულეს, სოფლის მეურნეობის დარგებს აკისრია ქვეყანაში.



სკოლის გახსნა ქართველ საზოგადოებას ცნობილ-
მა საზოგადო მოღვაწემ, ქართული კულტურის ქემ-
მარიტმა რაინდმა, ილია წინამძღვრიშვილმა აცნობა 1883
წლის პირველ სექტემბერს გაზეთ „დროების“ №142 სა-
შუალებით, სკოლის გახსნა დაინიშნა 4 სექტემბერს. სწავ-
ლა დაიწყო 1883 წლის 5 სექტემბერს. სკოლის პირველი
გამგე (ზედამხედველი) იყო ერმილე ნაკაშიძე – ცნობილი
აგრონომი და აგრარული მეცნიერებების დიდი პროპაგან-
დისტი საქართველოში. სკოლის პირველი მასწავლებლები
იყვნენ: ევ. კანდელაკი, მ. ასათიანი, ლ. თაბურაძე, სანდრო
კავსაძე, ივანე გომელაური, ლუარსაბ ბოცვაძე, დ. დავი-
თაშვილი და მრავალი სხვა გამოჩენილი მოღვაწე. ეკლე-
სიას მღვდელმსახურებას უწევდა გიორგი ასათიანი. ილია
წინამძღვრიშვილის სკოლის გახსნამ გაახარა ყველა ქართველი,
უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი სკოლის გახსნი-
სას სოფ. წინამძღვრიანთკარში, ჩამოსულები იყვნენ საქა-
რთველოს ყველა კუთხიდან. ზეიმს ესწრებოდნენ, რაღა
თქმა უნდა, საზოგადო მოღვაწეებიც, ვისაც დიდი წვლი-
ლი მიუძღოდა სკოლის გახსნისათვის: ილია ჭავჭავაძე,
ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი და წერა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოების სხვა წევრები, ასევე
ქართული კულტურის გამავრცელებელი, კავკასიის მთა-
ვარმართებლის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი დიმი-
ტრი სტაროსელსკი, რომელმაც ხელი მოაწერა წესდებას
და სასწავლო გეგმას. აღსანიშნავია, რომ წინამძღვრიანთ-
კარის სკოლის გახსნა იყო პირველი პროფესიული სასწავ-



ლებელი საქართველოში ზოგად განათლებასთან შერწყმული, სადაც სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

სკოლის გახსნაზე პირველი სიტყვა წარმოთქვა სკოლის დამაარსებელმა და მზრუნველმა ილია წინამძღვრიშვილმა და ქართველი ხალხის დიდმა მოამაგემ ილია ჭავჭავაძემ. ილია წინამძღვრიშვილმა ასე მიმართა გახსნაზე მოსულთ: „ბევრს თქვენგანს გააკვირვებს ჩემი მოქმედება, რომ დღეს მე სამეურნეო სკოლას ვხსნი, – მართლა, რომ ეს საქმეა; მაგრამ ეს საქმე მე გამაბედვინა ერთის მხრივ იმან, რომ ყოველის მამულისშვილის ვალია შეძლებისამებრ შეენიოს ღარიბსა და უმეცარს ხალხსა, მეორეს მხრივ აუცილებელმა საჭიროებამ აქაურ ხალხში სასარგებლო და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებისამ. გზაზედ ბევრი გაჭირვება მოგველის. საჭიროა ხელის შეწყობა და თანაგრძნობა თითონ საზოგადოებისა. მოგმართავთ რა თქვენ ჩემს ამხანაგებს და ახლად გახსნილ სკოლის პირველ მოძღვრებას უნდა გითხრათ, რომ თქვენ როგორც მეცნიერების წარმომადგენლებს შეგხვდებათ სასიამოვნო, მაგრამ ძნელი დანიშნულება, თქვენ პირველმა უნდა გააბნიოთ საგურამოს ხეობაში თესლი განათლებისა, უნდა ებრძოლოთ ხალხის ცრურწმენას, უნდა აღუძრათ თანაგრძნობა სახალხო განათლებისადმი და ცხადად აჩვენოთ ის სარგებლობა, რაც მეცნიერებას და გამოცდილებას ადამიანისთვის მოუტანია. თქვენზეა დამოკიდებული სკოლის მოწაფეთა ბედი და თვითონ სკოლის მომავალი. მაშ, გაუფლოთ სასწავლებ-



ლის კარი ყველა ერსა და სარწმუნოებას, წავიდეთ წინ და მოვფინოთ ბნელს ხალხში ნათელი ქვეშარიტებისა“.

სკოლის საზეიმო გახსნის შემდეგ, ილია წინამძღვრიშვილმა სტუმრები მიიწვია სამეურნეო ტერიტორიაზე მდებარე „ცხრა მუხის“ ქვეშ გაშლილ სუფრასთან.

ილია ჭავჭავაძემ სუფრის დაშლისას სტუმრებს მიმართა – „ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრათ, და ყური რომ მათხოვოთ, მაღლობელი ვიქნები.

„ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამინას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, უღვეველი სიმდიდრე ჩაუდვა და კაცს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეს სიმდიდრე დედამინის გულიდან ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

„თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე ღმერთმა თავისი უხვი კალთა აქ, ჩვენს პატარას და ლამაზ ქვეყანაში დაიბლერტაო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენ ვართ უხვირონი ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ლონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალივით მორთული ქვეყანა, ეს ჯიშინ, მკლავძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის-მღვრელი, – მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ.

„იმიტომ, რომ არ ვიცით სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია; არ ვიცით – საიდან რა ამოვიღოთ, რა ხერხით



და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ადვილიც იყოს და ბლომაც იყოს. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს და მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ-ისა, რაც თქვენისავე სიტყვით, თითონ ღონიერსაცა სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისგან შენთვის მიბარებული, ამას ამ ხერხით ამ ოსტატობით-უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

„მაგისტანა ღვთისნიერ წინამძღოლს ცოდნა ჰქვია. უამისოდ დედამიწა თავის თავის უხვს და უხარბიელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამოდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. სხვა ქვეყნებში, სადაც ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხი დღის მინა ისე აცხოვრებს ერთ ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა, და ორმოცის დღის პატრონი ვერა ცხოვრობს. რათა? განა იმითი, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობიან? არა, იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან, ხერხი სჯობია ღონესაო, თქვენგანვეა თქმული და მართალიც არის.

„ცოდნა თვითონ თავისთავადაც სიმდიდრე არის. მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან დასდევს უხარჯოდ და უბარგოდ. ვერც ვინ მოჰპარავს, ვერც ვინ წაართმევს, ვერც ვინ მოერევა. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.



„ლონიერი და ყოველთა-მიძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუ უწოდებია გასაზრდელად და გასაშლელად. კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლილი. მართალიც არის, კაცი სხვისი მარგეც უნდა იყოს და თავისთვისაც. კაცი მაშინ არის ხერხი. როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაუღესია, ცოდნის ჩარხზედ გაუჩარხავს, მაშინ კაცს ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

„ეგ თქვენ თვითონაც კარგად იცით, თქვენ თვითონ ხედავთ ყოველდღე, რომ ეგრეა. კალოში გუთნის-დედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მეხრეს. რადა? იმიტომ, რომ გუთნის-დედა მცოდნეა და მეხრე არა. ურმის მკეთებელი უფრო მეტად ღირს, მოჯამაგირედ, რომ დგება, ვიდრე უბრალო მუშა კაცი, თუნდაც ერთი ორად იმაზედ, მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რადა? კიდევ იმიტომ, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა.

ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თვითონ თავისთავადაც სიმდიდრეა მეტეი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება რა. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათას სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სიცოცხლე. პირიქით, იმატებს კიდევც, რადგან ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა.



„სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბუფტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს აფრთხობს, იქ სინათლეა, სჩანს ღვიძავთო და დაგვიანებულს მოყვარეს ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარენი დამხვდებიან და მიმასპინძლებენო.

„სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება ჩაინვის და ჩაქრება ხოლმე. ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის დღეში არა: მამიდან შვილზე გადადის, შვილიდან შვილიშვილზედ უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული.

„ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან უმცროს-უფროსობა არ იცის. როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თვითონ ღმერთი ერთნაირად შევრდომებს, ერთნაირად შეივედრებს და იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულს გლესსაც და „ბუზმენებით“ მორთულ თავადსაცა. ორივეს ერთნაირად მოუხდება, ერთნაირად დაამშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმინდობილი და მონადინებული მივიდეს ცოდნის კარამდის.

„ახლა სად არის ეგ კარები? როგორ შევიძინოთ ეგ სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას აგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაულალავის მცდელობით, დიდის თავ-გამოდებით და მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ



ცოდნის გასაზრდელად აქ, ამ სოფელში აკვანი დადგა და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვრი- შვილია, ის აკვანი აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ის ძიძები კიდევ მისგან მოწვეული ოსტატები არიან.

„აი, სად და ვისის მაღლიანის ხელებით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლეს მტერს დაა- ფრთხობს და მოყვარეს გაახარებს და რომელსაც ცოდნა ჰქვია. აი ამ პატარა სახლიდან გამოვა ის დიდი ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის გამარჯვებული ფარ-ხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვია. მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჰფენენ ქვეყანას ჩვენდა სადღეგრ- ძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ.

„ცოდნა, როგორც იცით, ათასნაირია, ხოლო აქედან ჩვენი შვილები, თქვენი შვილები გამოიტანენ იმიისთა- ნა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს სად რა სიმდიდრე ძევს და რა რიგის ხერხ- ით, რა რიგის ოსტატობით შეიძლება ამ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ.

„მაშ, გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვან- სა! გაუმარჯოს ილია წინამძღვრიშვილს, ამ აკვნის დამდგ- მელსა! გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსაც, რომელიც მაგ აკვანს გაარწვევენ დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასალვიძებლად!“



დიდი ილიას სიტყვა წარმოთქმული წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნაზე, რომელიც უმთავრესად გლეხობისადმი იყო მიძღვნილი, მჭევრმეტყველების უბადლო ნიმუშია. ეს სიტყვა იმთავითვე ითარგმნა უცხო ენებზე და ის საერთაშორისო ყურადღების საგნად გადაიქცა. ამ სიტყვის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში მარტივად, მაგრამ ფილოსოფიური ზემთაგონებითაა და მხატვრული ოსტატობით მთელი სისრულითაა მოცემული ცოდნის ძალა. გლეხებს უსაზღვროდ მოეწონათ ილიას ბრწყინვალე გამოსვლა, კარგად გაიგეს მისი ნათქვამი და ხშირად წამოიძახებდნენ მოწონების სიტყვებს.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნას ასეთი შეფასება მისცა ჟურნალმა „ივერიამ“, 7 სექტემბერი N177, რომელსაც ილია ჭავჭავაძე რედაქტორობდა: „ჩვენი საზოგადოების უხალისობის დროს, ერთმა კერძო პირმა ხანგრძლივი მეცადინეობის შემდეგ თავის საკუთარი ხარჯით და საფარით ჩასდგა საძირკველი ფრიად სასარგებლო დაწესებულებისა. ჩვენ ვამბობთ, ილია წინამძღვრიშვილზე და მისგან დაარსებულ სკოლაზედ, სოფელ წინამძღვრიანთკარში. დიდად დასაფასებელია პატივცემული ილია წინამძღვრიშვილის ღვაწლი, სწორად დიდად გასაკვირვებელია მისი მხნეობა და გაბედულება. უნდა მკითხველმა დაწვრილებით იცოდეს ამ მეცადინეობის ისტორია, უნდა იცოდეს, რა ჯაფა და შრომა იყო საჭირო, როგორც მისთვის, ისე იმ კერძო პირთათვის



რომლებიც ეხმარებოდნენ, რომ ამ სკოლის საქმე თავს მოსულიყო, რომ ღირსეულად დააფასოს საზოგადოებრივი მნიშვნელობა ამ მოვლენისა. ჩვენ ძალზედ იშვიათად და სრულიადაც არ გვახსოვს, რომ საზოგადო საქმისათვის ასე შეძლებისა და ჯაფის დაუზოგავად, კერძო კაცს თავი გამოემეტებინოს. ჩვენში საზოგადო საქმისთვის თავგამოდებას, ქონების დაუშურველობას, ბევრი ისევ სხვა თვალთ უცქერის. ჩვენ ჯერ არ შევხვედრივართ ჩვენს ცხოვრებაში არამც თუ შემძლებელ მფარველს, სახალხო განათლებისას, სკოლისას, მეცნიერებისას, არამედ ლიტერატურისა და დამწერლობისასაც კი“.

ილიას უნარიანი ხელმძღვანელობით სკოლამ მოკლე ხანში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა, საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავდა სკოლის მიღწევებს, გამოთქვამდნენ გაკვირვებას, თუ როგორ უძღვებოდა ამოდენა საქმეს, მხნეობა ერთი თავგამოდებული კაცისა.

ილია წინამძღვრიშვილის მიერ შექმნილია არაერთი ნაშრომი აგრარული მიმართულებით. ილია წინამძღვრიშვილის კალმის ნაყოფმა თავის დროზე წამყვანი როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო განათლების საქმეში, საყოფაცხოვრებო, ეთნოგრაფიული, და კერძოდ სოფლის ცხოვრების გაშუქებაში.

ილია სამწერლო ასპარეზზე ხორეშან გვერდწითელის და ხორეშან ლოყანითელის ფსევდონიმით მოღვაწეობდა.

ილია წინამძღვრიშვილს მიაჩნდა, რომ საქართველოს არა მარტო დაბალი, არამედ საშუალო და უმაღლესი ტი-



პის სასოფლო-სამეურნეო სკოლების დაარსებასაც საჭიროებდა. რაკი ასეთი სასწავლებლის დაარსებას ჩვენში სასიკეთო პირი არ უჩანდა, ილია წინამძღვრიშვილი დაუჩინებით მოითხოვდა, დაწყებითი სასოფლო-სამეურნეო განათლების მიღების შემდეგ, ყმანვილები სწავლის გასაგრძელებლად, სახელმწიფო სტიპენდიით გაეგზავნა ყირიმის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში. აღსანიშნავია, რომ წინამძღვრიანთკარის სკოლის ორმოცდაათზე მეტმა კურსდამთავრებულმა, სწავლა განაგრძო ან სასწავლო პრაქტიკა გაიარა იალტაში, ნიკიტინის მევენახეობა-მეღვინეობის სასწავლებელში, დღევანდელი „მაგარაჩის“ მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის, მევენახეობა-მეღვინეობის კათედრის გახსნას, რომლის ხელმძღვანელი იყო ს. ჩოლოყაშვილი, დიდად შეუწყო ხელი სწორედ, ილია წინამძღვრიშვილის მიერ გახსნილმა, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის, მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით დაწყებულმა სასწავლო და იალტაში წარგზავნილი სტუდენტების სანარმოო გამოცდილებამ. ილია წინამძღვრიშვილის მეოხებით ერთხანს შეუძრნეველი წინამძღვრიანთკარი საქვეყნოდ ცნობილი სოფელი გახდა. ამ სასწავლებელში სხვადასხვანლებში აღიზარდა თვალსაჩინო პროზაიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი, სახელგანთქმული მომღერალი ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, ყვავილების ჯადოქარი მიხეილ მამულაშვილი და მრავალი სხვა. მაღლიერმა საზოგადოებამ 1913 წლის 4



სექტემბერს გამართა საიუბილეო ღონისძიება და სასწავლებელმა დაარსების 30 წელი იზეიმა.

1924 წელს სკოლას დაემატა სპეციალური კლასი და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დაერქვა.

1928 წლიდან სასწავლებელს ეწოდა წინამძღვრიანთკარის ცენტრალური საცდელ-საჩვენებელი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

1933 წლიდან სასწავლებელს ეწოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

1940 წელს ტექნიკუმი გაუქმდა და იგი დამხმარე მეურნეობად აქციეს. უსულგულო დამოკიდებულების შედეგად ისტორიული სკოლის უმდიდრესი მემკვიდრეობა, სკოლის არქივი და მატრიანე დაიკარგა. მთლიანად განადგურდა კაბინეტ-ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები, სასწავლო ნივთები, ხელსაწყო – იარაღები.

1947 წელს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაშინდელმა დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა დააყენა საკითხი, დამხმარე მეურნეობის გაუქმების და დაარსდა მეზღვეობის ათწლიანი სკოლა, ხოლო 1956 წელს აღდგა უსაფუძვლოდ დახურული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

1964 წელს სახელმწიფოს მიერ გამოიყო თანხები და აშენდა ახალი სასწავლო კორპუსი 500 სტუდენტისთვის, საერთო საცხოვრებელი (4 კორპუსი) სტუდენტებისათვის და 1 კორპუსი 12 ბინიანი პედაგოგებისათვის, სპორტული კომპლექსი, სასადილო, კეთილმოეწყო ტერიტორია. დაიდ-



გა ილია წინამძღვრიშვილის უკვდავსაყოფად მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის მიერ შესრულებული ილია წინამძღვრიშვილის ბიუსტი თეთრი მარმარილოსი.

1966 წელს შეეცვალა სახელი და ეწოდა წინამძღვრიანთკარის ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საბაზო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

1993 წელს ტექნიკუმი გადაკეთდა წინამძღვრიანთკარის ილია წინამძღვრიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ-ეკოლოგიურ კოლეჯად.

2008 წლის 11 თებერვალს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, წინამძღვრიანთკარის ჰუმანიტარულ-ეკოლოგიური კოლეჯისა და საგურამოს პროფესიული სასწავლებლის ბაზაზე, შეიქმნა წინამძღვრიანთკარის ილია წინამძღვრიშვილის სახელობის პროფესიული სასწავლებლის ცენტრი.

2010 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განხორციელდა ილია წინამძღვრიშვილის სახელობის პროფესიული სწავლების ცენტრის ლიკვიდაცია. ლიკვიდაციას წინ უძღოდა პერიოდი, როცა 2008 წელს მოხდა სამაჩაბლოს ტერიტორიების ოკუპირება და სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში (4 კორპუსში) შეასახლეს სამაჩაბლოს ტერიტორიიდან დროებით იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა, რამაც გამოიწვია სტუდენტების საგრძნობლად შემცირება. სასწავლებლის ტერიტორიის 60 ჰა-იან მიწის ფართობიდან, 20



ჰა გადაეცათ სარგებლობაში დევნილ მოსახლეობას, 20
ჰა მიიტაცა ადგილობრივმა მოსახლეობამ, განადგურდა
ვაზისა და ხეხილის ფართობები, დაზიანდა სტუდენტთა
სასადილო, ღია სპორტული მოედანი და დახურული დარ-
ბაზი, ილია წინამძღვრიშვილის მიერ აშენებული პირველი
სასწავლო კორპუსი და მარანი დაინგრა, სრულიად მოიშ-
ალა ინფრასტრუქტურა, ტექნიკა, სასწავლებლის არქივი
და მემკვიდრეობა. აი, ასეთი ისტორიული წარსულისა და
ტრადიციების სასწავლებელი, მიზანმიმართულად იქნა
დახურული და მცხეთის მერიის მიერ გადაეცა შენობები
აუქციონზე გასაყიდად.



ნაწილი II

კოლეჯის ახალი სიცოცხლე

(რეაბილიტაცია)

ნათქვამია „კეთილი საქმე არ იკარგებაო“ და მართლაც, დროულად შეამჩნიეს ერისკაცებმა და 2014 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 17 ივნისს №72/ნ ბრძანებით ახლიდან დაფუძნდა სასწავლებელი, სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის სახით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მომზადდა არასრული სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი, სარეაბილიტაციო სამუშაოები 2015 წელს დაიწყო (კოლეჯის დირექტორი თეიმურაზ ასათიანი) და დასრულდა 2016 წელს. დაზუსტდა სახელმწიფო რეესტრში, კოლეჯის ტერიტორიის ბალანსზე რიცხული ფართობის, წითელი ხაზები სოფელ წინამძღვრიანთკარში და შემოიღობა 60 ჰა-დან დარჩენილი 19.62 ჰა მიწის ფართობი, მოეწყო წყლის ორი ჭაბურღილი და აშენდა 50 ტონიანი წყლის ორი რკინა-ბეტონის რეზერვუარი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს წყლის მოთხოვნას, კვოტით განსაზღვრულ სტუდენტების, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისათვის ორ ცვლაში და სასოფლო-სამეურნეო ნარგაობის მელიორაციას. დამონტაჟდა გაზგაყვანილო-



ბა და მოენყო კანალიზაციის ჭები, აღდგინეს კოლეჯის სამსართულიანი სასწავლო კორპუსი, რომელიც გათვლილია 500 სტუდენტზე ერთ ცვლაში. კოლეჯში არის ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიები, თანამედროვე ხელსაწყო-იარაღებით და სადემონსტრაციო მასალებით აღჭურვილი, რაც გამოიყენება ინტეგრირებული სწავლებისათვისაც. სრულადაა აღჭურვილი სასწავლო კორპუსების კაბინეტ-ლაბორატორიები, სპეციალობების შესაბამისად თეორიული და პრაქტიკული სასწავლო პროგრამების მაღალ დონეზე განსახორციელებლად. კოლეჯს აქვს მრავალფეროვანი 7 000 ერთეულზე მეტი წიგნების ფონდით ბიბლიოთეკა. სამკითხველო თემატური წიგნებით სამი დარბაზი, აღჭურვილი კომპიუტერებით, სადაც შექმნილია მყუდრო სასწავლო-სამკითხველო გარემო, პერიოდულად ეწყობა წიგნის გარჩევები, კითხვა-პასუხის საღამოები, თემატური ტრენინგები.

კოლეჯმა, 2016 წლის შემოდგომის სასწავლო ნაკადზე რვანლიანი შეჩერებისა და სწავლისათვის აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ, ავტორიზაცია გაიარა და პირველი სტუდენტები მიიღო აგრარული მიმართულების სამი საპილოტე პროგრამით: მოდულური, დუალური და ინტეგრირებული სწავლების ფორმის განსახორციელებლად.

ინტეგრირებული სწავლების განხორციელება „მეხილეობის“ სპეციალობით, მიმდინარეობდა ცხრაკლასდამ-



თავრებულთათვის, სადაც სტუდენტები პროფესიის დამადასტურებელ დიპლომთან ერთად ზოგადი საშუალო განათლების მოწმობასაც მიიღებენ, რომელიც განხორციელდა გაეროსა და შვეიცარიის საქართველოში წარმომადგენლობის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, ასევე სასოფლო-სამეურნეო კულტურების სამეცნიერო კვლევით ცენტრთან პარტნიორობით. მევენახეობა და მეღვინეობის სპეციალობაზე, დუალური (სამუშაოზე დაფუძნებული) მეთოდით სწავლება განხორციელდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Ifd) პროექტით და შპს „კტე“ (კახური ტრადიციული მეღვინეობა) – სთან პარტნიორობით.

2017 წლიდან ავტორიზაცია გაიარა კოლეჯმა და სწავლებას ახორციელებს მცხეთა-მთიანეთის კიდევ ორ მუნიციპალიტეტში: თიანეთისა და სტეფანწმინდის სასწავლო ფართებში.

დღეისათვის, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სამივე სასწავლო ფართში, გარდა აგრარული მიმართულებისა, მიმდინარეობს სწავლება რეგიონისათვის საჭირო სხვადასხვა პროფესიულ პროგრამებზე.

სოფ. წინამძღვრიანთკარის სასწავლო ფართში:

1. რძის პროდუქტების წარმოება (დუალური);
2. კულინარიის ხელოვნება (დუალური);
3. მებაღეობა (დუალური);



4. ვეტერინარია (დეუალური);
5. მევენახეობა და მეღვინეობა (დეუალური);
6. ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება (დეუალური);
7. მეფუტკრეობა (მოდულური);
8. აღმზრდელი (მოდულური);
9. სატყეო საქმე (მოდულური);
10. სასმელების წარმოება (მოდულური);
11. ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური);
12. სამკერვალო წარმოება (მოდულური);
13. ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური);
14. კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მოდულური);
15. სასტუმრო მომსახურება (მოდულური);
16. თმის მომსახურება (მოდულური);
17. ხის მხატვრული დამუშავება (მოდულური);
18. ელექტროობა (მოდულური);
19. მეხილეობა (მოდულური);
20. ღონისძიების ორგანიზება (მოდულური);
21. აგრომექანიზაცია (მოდულური);
22. აგრომექანიზაცია (ინტეგრირებული);
23. სასტუმრო მომსახურება (ინტეგრირებული);
24. ღონისძიების ორგანიზება (ინტეგრირებული);
25. კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული);
26. მეხილეობა (ინტეგრირებული);



დაბა სტეფანნმინდის სასწავლო ფართში:

- 27. ბულალტრული აღრიცხვა (მოდულური);
- 28. ელექტროობა (მოდულური);

დაბა თიანეთის სასწავლო ფართში:

- 29. მეხილეობა (დეალური);
- 30. მეფუტკრეობა (მოდულური);
- 31. სატყეო საქმე (მოდულური);
- 32. ბულალტრული აღრიცხვა (მოდულური);
- 33. ინფორმაციის ტექნოლოგია (მოდულური);
- 34. კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მოდულური);
- 35. კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული);
- 36. მეხილეობა (ინტეგრირებული);

მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები:

- 37. კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა და უსაფრთხოება;
- 38. ფუტკრის დაავადებების მკურნალობა და პროფილაქტიკა;
- 39. ბულალტერ-ანალიტიკოსი;
- 40. მცენარეთა დაცვის სამუშაოების წარმოება;
- 1. ტრაქტორის მართვა და ნიადაგის დამუშავება;
- 2. მერქნისა და მერქნული მასალებისაგან ნაკეთობების დამზადება;



სასწავლო კორპუსში მონყობილია პრაქტიკული სწავლების სახელოსნოები სპეციალობის შესაბამისი პროგრამებისათვის: მეღვინეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა, ელექტროობა, ხის მხატვრული დამუშავება, სამკერვალო წარმოება, თმის მომსახურება, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება. ფუნქციონირებს აგრომექანიზაციის სპეციალობის სტუდენტების პრაქტიკული სწავლებისათვის მაღალი სტანდარტების შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სატრაქტორო პარკი, სადაც შესაძლებელია მთელი საქართველოს მასშტაბით, აგრომექანიზაციის კურსის სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება მოკლევადიანი პროგრამებით.

2016 წელს, რეაბილიტირებული კოლეჯის გახსნასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციის წევრების მიერ, კოლეჯს საჩუქრად გადაეცა კაკლის ხის ნერგები, რომელიც თავადვე გააშენეს კოლეჯის სამეურნეო ტერიტორიაზე მიმდებარე გზის ორივე მხარეს 200 მეტრზე, და 2018 წელს კოლეჯის დაარსებიდან 135 წლის იუბილესთან დაკავშირებით, უწოდეს ილია წინამძღვრიშვილის საპატივცემულოდ „ილიას კაკლიანის ხეივანი“. 2016 წელს, კოლეჯის ადმინისტრაციის მოთხოვნით, მცხეთის საკრებულომ გამოიტანა დადგენილება და ქუჩას სადაც მდებარეობს კოლეჯი, ეწოდა ილია წინამძღვრიშვილის სახელი, ნაცვლად „პირველი ქუჩა“.

ილია წინამძღვრიშვილის მეუღლის ოლღა არღუთაშვილის ხსოვნის საპატივცემულოდ, როგორც ერთ-ერთ-



თი ინიციატორის ღარიბი მოსახლეობის შვილებისათვის წინამძღვრიანთკარში სასწავლებლის გახსნისა, კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ 2022 წელს დაწესდა კოლეჯის შიდა სადღესასწაულო დღე „ოღლაობა“ ყოველი წლის ოქტომბრის ბოლო შაბათი.

დღესასწაულზე იკრიბებიან კოლეჯის სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ადმინისტრაციის წევრები, მოწვეულნი ყველა კოლეჯის წარმომადგენლები, სამინისტროს და დონორი ორგანიზაციის, ასევე რეგიონის ხელმძღვანელები, სკოლის მოსწავლეები და ადგილობრივი მაცხოვრებლები. იმართება გამოფენა სტუდენტების მიერ წარმოდგენილი ნაკეთობების, ენცობა შეჯიბრებები და კონცერტი. ხდება კოლეჯის საპატიო სტუმრის სტატუსის მინიჭება, წლის განმავლობაში კოლეჯთან განსაკუთრებული თანამშრომლობისათვის და მასწავლებლების დაჯილდოება მიღწეული წარმატებებისათვის.

კოლეჯს უკვე ჰყავს 2022 და 2023 წლის დაჯილდოვებულინი საპატიო წევრების სტატუსით.



2022 წლის დაჯილდოვებული საპატიო წევრები:

1. თამარ ქიტიაშვილი – ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორი;
2. თეიმურაზ ასათიანი – სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
3. ვალოდია ზედგინიძე – სატყეო საქმის პროგრამის პედაგოგი;
4. რეზო ბადურაშვილი – ხის მხატვრული დამუშავების პროგრამის პედაგოგი;
5. ოთარ დაბრუნდაშვილი – კოლეჯის – „იკაროსის“ მენეჯერი.





2023 წლის დაჯილდოვებული საპატიო წევრები:

1. გიორგი ამილახვარი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;
2. ნოდარ პაპუკაშვილი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
3. გელა გელაძე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
4. თამარ კვინიკაძე – პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
5. ნონა ლუდუშაური – სსიპ კოლეჯი „მერმისის“ დირექტორი;
6. მალხაზ ასლამაზაშვილი – სსიპ კოლეჯი „აისის“ დირექტორი.



თეიმურაზ ასათიანი, თამარ კვინიკაძე



ნონა ლუდუშაური, თეიმურაზ ასათიანი



მალხაზ ასლამაზაშვილი, თეიმურაზ ასათიანი



კოლეჯის სამივე მუნიციპალიტეტის სასწავლო კორპუსის ეზოში მოენყო დასასვენებელი ზონები სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის, სადაც დაირგო მარადმწვანე ხე-მცენარეები, მოენყო ხეივნები, ყვავილნარის გაზონები, შიდა ბილიკები, მისასვლელი გზები, ფანჩატურები. შეიქმნა მაგიდის ჩოგბურთის, ქადრაკის და შაშის სექციები, კოლეჯს წინამძღვრიანთკარის სასწავლო კორპუსის ეზოში აქვს საცურაო აუზი (სარეაბილიტაციო), მოენყო კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის სპორტული მოედანი, მაცურებელთა ტრიბუნები 50 კაცზე. სპორტულ სექციებში სტუდენტები მასობრივად არიან ჩართულნი, იმართება სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრებები, როგორც შიდა ასევე კოლეჯებს შორის. ეწყობა ექსკურსიები, კოლეჯში ჩამოყალიბებულია სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ცხრამუხა“. თეატრალურ უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტები, სადიპლომო და საკურსო სპექტაკლებს დგამენ კოლეჯში ჩვენი სტუდენტების მონაწილეობით.

კოლეჯში, სასწავლო პროცესის პარალელურად, მიმდინარეობს მეორე რიგის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება, კერძოდ: სოფელ წინამძღვრიანთკარში არსებული კოლეჯის ტერიტორიაზე, აგრარული სპეციალობების სტუდენტებისათვის, მოდულით გათვალისწინებული პროგრამის სწავლებისათვის, თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკულად განხორციელებისა და ცოდნის განმტკიცებისათვის, შენდება: ვაზის (2 ჰა), და მეხილეობის



(თესლოვანი, კურკოვანი და კენკროვანი) კულტურების (1.2 ჰა) სასწავლო-საკოლექციო-სადემონსტრაციო ნაკვეთები, ითესება 2 ჰა ერთწლიანი და მრავალწლიანი საკვები ბალახები და მარცვლოვანი კულტურები; სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებულ ფართობზე მოეწყო წვეთოვანი სარწყავი სისტემა. აიგო სამი სასათბურე კონსტრუქცია, გათბობისა და ვენტილაციის მოწყობით, სათბურის დახმარებით შესაძლებელი გახდა მებაღეობისათვის ყვავილების ჩითილების გამოყვანა, ხეხილისა და ვაზის ნამყენი ნერგების წარმოება, ასევე ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარეების გამრავლება, სატყეო სანერგეში, ნაყოფის მომცემ ხეთა შორისაა: კაკალი, თხილი, ნაბლი და სხვა ნერგები.

კოლექჯის სტუდენტები სასწავლო – საწარმოო პრაქტიკის გასავლელად წინასწარი ხელშეკრულების საფუძველზე სწავლებას გადიან ქვეყნის, როგორც დიდ, ასევე პატარა სხვადასხვა (როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო) საწარმოებში. კომპანიებთან გაფორმებულია მემორანდუმები. პრაქტიკის ხელმძღვანელი სტუდენტებს თან ახლავს, მუშაობის წინ აძლევს განმარტებას, ამონიშნავს სტუდენტების ნამუშევრებს, ხოლო სამუშაოს დამთავრების შემდეგ, აკეთებს დასკვნას და იძლევა შეფასებას. მოსწავლეები, სასწავლო პრაქტიკის პერიოდში, ასრულებენ ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს, პრაქტიკის დროს დიდი ადგილი ეთმობა ცდებს. კოლექჯის თითოეულ მოსწავლეს გააზრებული აქვს და ჩვევაში გადასული, რომ



პრაქტიკა მხოლოდ მუშაობა კი არაა, არამედ სწავლაცაა, რამიაც (არამარტო სანარმოების მოძიება) დიდ დახმარებას გვინევს უნარების სააგენტო.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, სასწავლებლის აუცილებლობა გამოიკვეთა სხვა მუნიციპალიტეტებშიც, რის გამოც ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯს, პროფესიული სწავლების განსახორციელებლად გადმოეცა: სტეფანწმინდისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში სარემონტო-სარეაბილიტაციო შენობები სასწავლო ფართების მოსაწყობად, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება და ინფრასტრუქტურის განახლება დასრულდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით 2017 წელს. ორივე სასწავლო კორპუსის კაბინეტ-ლაბორატორიები და სახელოსნოები აღიჭურვა პროფესიების შესაბამისი მოდულების განსახორციელებლად და ეტაპობრივად მიმდინარეობს პროფესიების ავტორიზაცია. სპეციალობების შერჩევა სწავლების განსახორციელებლად დგინდება, მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად. თუმცა ვითვალისწინებთ რეგიონის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებისა და სწავლის მსურველთა მოთხოვნებსაც, ცნობილია, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა მრავალმხრივ ინფორმირებულია. იგი იმყოფება ყოველდღიურად მრავალი ინფორმაციის ქვეშ – ინტერნეტი, კინო-თეატრი, პრესა, ტელევიზია, რადიო, ჟურნალები, ტურიზმი და სხვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი ახალგაზრდა არ დგას



იმ შეგნების დონეზე, რომ გაერკვეს ამ მოზღვავებულ ინფორმაციაში, გაერკვიოს რა არის კარგი, რა არის ცუდი, დადებითი შეითვისოს, უარყოფითი უკუაგდოს. რიგ შემთხვევაში პირიქით ხდება დადებითის ნაცვლად უარყოფითს ითვისებენ. ვიდრე ახალგაზრდები კოლეჯში მოეწყობიან, მანამდე ვინყებთ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებითა და შეხვედრებით კოლეჯის სასწავლო პროგრამების სპეციალობების გაცნობას მოსახლეობისათვის. ვაწყობთ ღია კარის დღეებს, მომავალი პროფესიების არჩევისათვის ყველა ასაკის მსურველთათვის. ღია კარის დღეს მოსულ სწავლის მსურველებს, ვაცნობთ კოლეჯის კაბინეტ-ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკას, სპორტულ ბაზებს, სახელოსნოებს, საცდელ ნაკვეთებს. „არც ერთი კარგი ნამოწყება არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი, ყურადღება ყოველ სტუდენტს“ – ასეთია კოლეჯის მთელი სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის საფუძველი. კოლეჯი, პროფორიენტაციის მიზნით სკოლებში, მერვე-მეცხრე კლასელთათვის ახორციელებს, 2-4 თვიან სასწავლო პროექტებს, მუნიციპალიტეტების შესაბამისი და მოთხოვნადი პროფესიების მიმართულებით. სწორედ აქ არის პროფორიენტაციის როლი, რომ შეძლოს დაეხმაროს ინფორმაციათა ლაბირინთში და სწორი ორიენტაცია მისცეს სწავლის მსურველებს.

სტუდენტთა აღზრდას დიდად უწყობს ხელს კოლეჯში გამართული კონკურსი საუკეთესო სტუდენტის, ჯგუფის და პედაგოგის გამოსავლენად. კონკურსის პირობები შედგენილია დირექციის და პედაგოგების მიერ. კოლეჯში



ენყობა საინტერესო ექსპერიმენტები სტუდენტთა შესასწავლი საგნების დაინტერესებაზე, რომელიც შემდეგნაირად ჩატარდა: მოსწავლეებს ეძლეოდათ შემდეგი პირობა: თქვენ დაუშვათ სწავლობთ 10 საგანს, შემომომებელნი მოულოდნელად მოდიან და გეკითხებიან, რომელ ორ საგანს აირჩევდით ჩასაბარებლად ამ ათი საგნიდან, რომლებიც თქვენ მტკიცედ იცით და გაინტერესებთ. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა უმრავლესობამ აირჩია პროფესიული საგნები. ეს გამოკითხვა თავისებური შემომომება იყო აგრეთვე პედაგოგებისაც, ვინაიდან ცნობილია, რომ საგნით დაინტერესება დიდად არის დამოკიდებული პედაგოგებზე. შემოღებულია ნახალისების ფორმები: მადლობის წერილი სკოლას და ოჯახს, დასაქმებაში ხელშეწყობა, არის გაცვლითი პროგრამების პროექტები აგრარული სპეციალობების განხრით ჩეხეთსა და საფრანგეთში.

კოლეჯის ადმინისტრაცია აწარმოებს კოლეჯის კურსდამთავრებულთათვის დასაქმებაში მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებებს. კერძოდ: ენყობა შეხვედრები საწარმოებში, ტარდება სემინარები, ორგანიზაციებიდან მუდმივად ხდება სამუშაო ვაკანსიების განახლებადი ინფორმაციების მოძიება, ასევე ხდება მოკვლევა და მოძიება მცირე პროექტების დაფინანსების წყაროების, რათა ჩავრთოთ კოლეჯის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. კოლეჯი შემოფარგლული არ არის მარტო თავისი სტუდენტების სწავლებით. ჩვენი პედაგოგები პროფორიენტაციის გაცნობით მეცადინეობის კურსს უტარებენ სკოლის



მოსწავლეებს, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, მრავალშვილიან დედებს, პრობაციონერებსა და სასჯელ-მისჯილებს. ხორციელდება სასწავლო პროგრამები სას-ჯელაღსრულების დაწესებულებებში და მოკლევადიანი პროგრამები პროფესიული მომზადება-გადამზადების, კვა-ლიფიკაციის ამალღების მიზნით სამინისტროს მხარდაჭერ-ით სწავლება მიმდინარეობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის, სოციალურად დაუცველთათვის.

იმ მიზნით, რომ თითოეული სტუდენტის ინდივიდუა-ლური ნიშან-თვისებები გაიცნონ, კოლეჯში დამკვიდრდა ტრადიცია ჯგუფზე მიმაგრებული პედაგოგის, რომელიც ხელმძღვანელობს ჯგუფს პირველი კურსიდან – სწავლის ბოლომდე. არის შექმნილი ჯგუფების ინსტიტუტი, რომელიც უშუალოდ კავშირს ამყარებს კოლეჯის ადმინის-ტარციასა და სტუდენტებს შორის.

კოლეჯში სწავლის ხარისხის ამალღებისათვის, ასევე კოლეჯსა და მონვეულ პედაგოგებსა და სტუდენტებს შო-რის მეტი ურთიერთობისა და აქტივობებისათვის, შექმ-ნილია სპეციალობებისა და შესასწავლი საგნების მიხედვით პროფესიული კათედრები: აგრარული, ზოგადი საგნების, სხვადასხვა სახელობო პროფესიული. კათედრის მიზანია ხელი შეუწყოს კოლეჯისათვის დამტკიცებული სასწავლო პროგრამების უკეთ განხორციელებას, მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების ამალღებას. კათედრის არქი-ვში თავმოყრილია დიდძალი პედაგოგიური ლიტერატურა,



კალენდარული, გაკვეთილის ყოველდღიური მოდულები, ცოდნის დადასტურების ტესტები, გეგმიური სასწავლო და პრაქტიკული მეცადინეობების გრაფიკები და სხვა გამოცდილებები. ტარდება ტრენინგები კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ეწყობა გაერთიანებული კონფერენციები. კათედრა ხელმძღვანელობს, მეთოდური ხასიათის მოხსენებების მომზადებას, რაც განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდა პედაგოგებს საგნის სწავლების მეთოდურ დახელოვნებაში. კათედრა სასარგებლო მუშაობას ეწევა სპეციალობების შესაბამისი მიმართულებებით, შექმნილია საგნობრივი კომისიები. საგნობრივი კომისიები განიხილავენ სამუშაო გეგმებს, საგამოცდო ბილეთებს, აანალიზებენ გაკვეთილებს, ლაბორატორიულ პრაქტიკულ მეცადინეობებს. კათედრა წინასწარ შემუშავებული გრაფიკით იწვევს გამოცდილ სპეციალისტებს, სპეციალური ან საინფორმაციო ხასიათის სალექციო საათის ჩასატარებლად, მიმდინარეობს აზრთა და შეხედულებათა გაცვლა კოლეჯის ცალკეული მიმართულებების მიხედვით. სტუდენტთა აღზრდისათვის გამოიყენება მუშაობის სხვადასხვა ფორმები, თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის შეხვედრები, ლექციები, მოხსენებები, პრეზენტაციები, შემოქმედებითი წრეები. ეწყობა ექსკურსიები შესაბამისი დარგის პროფილის საწარმოებში. კათედრის რეკომენდაციით, ცალკეული მიმართულების მიხედვით იქმნება დარგის შესაბამისი კლუბები, რომელსაც ხელმძღვანელობენ კოლეჯის კურსდამთავრებულნი. კლუბის



მიზანია კლუბის წევრებისათვის, საცხოვრებელი ადგილმდებარეობის მიხედვით, ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან დიალოგისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა, კლუბის მიმართულების შესაბამისი საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის, ასევე მიეხმაროს კლუბის წევრებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც ხელს უწყობს სოფლის მოსახლეობის ჩართვის ხელშეწყობის გაზრდას, სასოფლო-სამეურნეო რესურსების ოპტიმალურად მართვის, კომპეტენტური და მდგრადი სისტემის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის ხელშეწყობისათვის. კლუბი მოქმედებს თავისი შინაგანანესით. კლუბები ფუნქციონირებს კლუბის წევრების მიერ დამტკიცებული შინაგანანესით – შეკრებისას მიმდინარეობს დარგის ირგვლივ არსებული პრობლემებისა და საკითხების განხილვა. კლუბში საკუთარი სურვილით განეკუთვნებული არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პედაგოგები, დარგის მოყვარულნი და ფერმერები. გათვალისწინებულია მათი სპეციალობა, აკადემიური მოსწრება და სხვა, სულ კოლეჯში ხუთი მიმართულების კლუბი მუშაობს. კოლეჯში მოქმედი აგრარული მიმართულების კათედრაზე გაერთიანებულია დღესდღეობით კოლეჯში არსებული აგრარული სპეციალობის შემდეგი მიმართულებები: მეღვინეობა-მევენახეობის, მეხილეობის, ტრაქტორისტ-მემანქანის, მეფუტკრეობის, მებაღეობისა და სატყეო საქმის პროფილის, რომელსაც ხელმძღვანელობენ კოლეჯის პედაგოგები. აგროსექტორში კოლეჯის პარტნიორი კომ-



პანიები: ღვინის ეროვნული სააგენტო, უნივერბიზნეს გრუპი, სურსათის უვნებლობის სააგენტო, სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტო, შპს საქართველოს მელიორაცია, ქართული ხილის კომპანია და აგრარული სპეციალობების სხვა პარტნიორი კომპანიები.

აგრარული კათედრის მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულეა მუშაობს ვაზისა და ღვინის შესახებ საკითხებზე, რომელიც შექმნილია საქართველოს ღვინის კანონის საფუძველზე. სემინარებზე ხდება ისეთი ღონისძიებების დაგეგმვა როგორცაა, ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება, საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა (ფერმერული ქვევრის) ღვინის პროდუქტები, ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია, ვაზის უნიკალური ჯიშების წარმოება, ღვინის ტურების განვითარება საკარმიდამო ადგილების გამოყენებით. ყურძნის შენახვისა და მისი ექსპორტირების ხელშეწყობა, ღვინის ტურიზმის განვითარება და სხვა აქტუალური საკითხები, რომელიც იგეგმება დისკუსიების დროს საჭიროებიდან და მოთხოვნილებიდან გამომდინარე.

აქტიურად მუშაობს აგრარული კათედრის სხვა მიმართულეებებიც:

მეხილეობის – კოლეჯის ტერიტორიაზე 1.5 ჰა სადემონსტრაციო ხეხილის ფართობის ბაზაზე.



სატყეო საქმის – კოლეჯის ტერიტორიაზევა 1.5 ჰა-ზე ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარეები, რომელიც გაშენებულია კოლეჯის და სასწავლებლის სტუდენტების მიერ 140 წლის განმავლობაში და დღეისათვის საუკეთესოა სატყეო საქმის სპეციალობის სტუდენტების სასწავლო მეცადინეობებისათვის. კოლეჯის მიმდებარედაა დაცული ტერიტორიების სატყეო პარკი:

აგრომექანიზაციის სპეციალობაზე ხდება კოლეჯის ტერიტორიაზე განთავსებული სატრაქტორო პარკის ბაზაზე ყველა სახის ტრაქტორის გაცნობა და პრაქტიკულად გამოყენება, ასევე კოლეჯში გვაქვს მექანიზაციის სხვადასხვა ტექნიკის სიმულაციური დანადგარები.

მეფუტკრეობის სპეციალობისათვის კოლეჯს აქვს საკუთარი საფუტკრე მეურნეობა და ასევე გაფორმებულია მემორანდუმი კერძო პირებთან, რომელთაც ყავთ 100-ზე მეტი ფუტკრის ოჯახი.

კოლეჯის შიდა ბრძანებით დანესებულია ყოველწლიურად აღნიშვნა მსოფლიო გარემოსდაცვითი და აგრარული დღეები შემდეგი თანმიმდევრობით:

18 მარტი – ნარჩენების გადამუშავების საერთაშორისო დღე;

27 აპრილი – ვეტერინარიის მსოფლიო დღე;

20 მაისი – ფერმერის მსოფლიო დღე;

5 ივნისი – გარემოს დაცვის მსოფლიო დღე;



15 სექტემბერი – მეღვინეობის დღე;

4 ოქტომბერი – ქართული ღვინის დღე;

20 ნოემბერი – ფერმერის დღე;

5 დეკემბერი – ნიადაგის დაცვის მსოფლიო დღე;

17 დეკემბერი – მთის საერთაშორისო დღე;

სადაც ნებაყოფლობით ერთვებიან კოლეჯის ადმინისტრაციის წევრები და სტუდენტები.

ასე გამოიყურება ამჟამად ეს სასწავლებელი, სადაც პირველად ჩაეყარა საფუძველი სოფლის მეურნეობის დარგების სწავლების სამჭედლოს და სადაც პირველად აენტო აგრონომიული ლამპარი. ვფიქრობთ, რომ ის, რაც 140 წლის განმავლობაში გააკეთეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა და ვაკეთებთ ჩვენც ხალხისათვის, დღესაც აქტუალურია, დღესაც საჭიროა მსოფლიო სამეცნიერო მიღწევების გაზიარება და ახალი ტექნოლოგიებითა და სტანდარტებით სწავლება. აღნიშნული მიდგომებით ჩვენ დავეხმარებით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, ჩვენს ქვეყანას, მსოფლიო ბაზარზე თავისი ადგილის დამკვიდრებაში და შესაბამისად, გააძლიერებს ქვეყანასაც და თითოეულ დასაქმებულსაც.

დღეისათვის, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი ღირსეულად აგრძელებს შთამომავლობით მიღებულ მემკვიდრეობას და დაარსებიდან 140 წლის იუბილეს ხვდება სრულად აღდგენილი, თანამედროვე სასწავლო გარემოთი და ინფრასტრუქტურით, აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით,



სასწავლო და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებისათვის მცხეთა-თიანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში: მცხეთის სოფელ წინამძღვრიანთკარში, დაბა თიანეთში და დაბა სტეფანწმინდაში. კოლეჯის კვოტა განისაზღვრება 850 სტუდენტით ორ ცვლაში, სწავლება მიმდინარეობს ევროსტანდარტების შესაბამისად მოდულურ, დუალურ და ინტეგრირებულ პროგრამებზე, მათ შორის მოკლევადიან მომზადება-გადამზადების მიმართულებითაც.

დღეისათვის სრულადაა რეაბილიტირებული ილია წინამძღვრიშვილის მიერ 1883 წელს აშენებული სასწავლო კორპუსი და მევენახეობა-მელვინეობის სასწავლო მარანი, სარეაბილიტაციო პროექტი მომზადებულია ძეგლთა დაცვის სააგენტოს მიერ, ხოლო დაფინანსება გამოიყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. აშენებულია მეფუტკრეობის სახელოსნო და მექანიზაციის სასწავლო კორპუსი. ფუნქციონირებს სამი დახურული გრუნტის სათბური ჩითილების, ნერგების და აგროკულტურების წარმოებისათვის, აგებულია ცალკე მდგომი დახურული კონსტრუქცია ხილისა და ბოსტნეულის პროდუქციის საშრობად. გაშენებულია ერთნლიანი და მრავალნლიანი კულტურები, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პრაქტიკული მეცადინეობები. თუ შევაჯამებთ რეაბილიტაციის შემდგომ პერიოდს, დღეისათვის თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისეთი სპეციალობის მიმართულებით, რაც დღეისათვის, საქართველოში დეფიციტურ პროფესიად დაფიქსირდა საქართველოს პარლამენტის თემატური მოკვლევის



საფუძველზე, როგორცაა: მეხილეობა, მექანიზაცია, სა-
ტყეო, მეფუტკრეობა, ვეტერინარია, ხილისა და ბოსტნეუ-
ლის გადამუშავება, მევენახეობა-მელვინეობა, კოლეჯში
ხორციელდება მაღალი სტანდარტების შესაბამისად, რაც
წინა პირობაა სამომავლოდ დარგის მაღალკვალიფიციური
სპეციალისტების აღზრდისათვის.

ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში მაღალი
სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს სწავლე-
ბა, როგორც თეორიული ნაწილის, ასევე პრაქტიკულის,
კოლეჯს აქვს ხელშეკრულებები სწავლების და პრაქტიკის
გაცვლითი პროექტების: ჩეხეთთან, საფრანგეთთან, გერ-
მანიასთან. ვთანამშრომლობთ დონორ ორგანიზაციებთან,
საქმიანი ურთიერთობები გვაქვს სპეციალობების შესაბა-
მის წამყვან საწარმოებთან, როგორც სახელმწიფო, ასევე
კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. ასე შეიძლება მოკ-
ლედ დავახასიათოთ დღევანდელი მდგომარეობა და რე-
აბილიტირებული ექვსწლიანი პერიოდის მიღწევები ილია
წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში. ყველაზე საა-
მაყოდ და კოლეჯის ადმინისტრაციის მთავარ მიღწევად
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭე-
რით მიგვაჩნია ის, რომ ძალიან მოკლე პერიოდში იქნა შეს-
რულებული ინფრასტრუქტურული და სასწავლო გარემოს
მონყობა მაღალი სტანდარტებით, სადაც აღსანიშნავია
განსაკუთრებით, რომ ახალი ცხოვრება დაიწყო კოლეჯმა
140 წლის წინ აგებული სასწავლო კორპუსის და მელვინე-
ობის სასწავლო შენობის რეაბილიტაციის შემდეგ, სადაც



საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სწავლების პირველი სკოლა, სადაც თეორიულ სწავლებასთან ერთად მიმდინარეობდა პრაქტიკული ცოდნის შექმნა სამუშაოზე დაფუძნებით. აღნიშნულ შენობებს ჩვენი ინიციატივით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს მიერ 2015 წლის 22 მაისს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ისტორიული უძრავი ძეგლის სტატუსი, რაც შესაბამისად ვრცელდება მთელ ტერიტორიაზე განთავსებულ ნაგებობებზე. ამით უკვდავყავით ჩვენი სასიქადულო მამულიშვილების 140 წლის წინ დაწყებული დიადი საქმე, პროფესიული განათლება, რაც დღესაც აქტუალურია. დღეს ამ შენობაში სასწავლო აუდიტორიებთან ერთად პირველი სასწავლებლის და მისი დამფუძნებლის სამუზეუმო დარბაზი ფუნქციონირებს, სადაც მოძიებული, აღდგენილი და წარმოდგენილია მასალები იმ ღირსეული ადამიანების შესახებ, რომლებიც მხარში ედგნენ ილია წინამძღვრიშვილს. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯის ტერიტორიის ზედა ნაწილში განთავსებულ განსასვენებელს. დავანესეთ ყოველწლიური დღესასწაული „ოღლაობა“ ილია წინამძღვრიშვილის განსვენებული მეუღლის საპატივცემულოდ, რომლის ინიციატივა და სურვილიც იყო წინამძღვრიანთკარში სასწავლებლის გახსნა.

რეაბილიტაცია გაუკეთდა კოლეჯის ბალანსზე მყოფ სტუდენტთა საცხოვრებელ ბინას (60 სტუდენტზე) სოფელ წინამძღვრიანთკარში, სადაც უნებართოდ იყო შეჭრილი სოფლის მოსახლეობა და დღეს გამოიყენება სტუდენტთა



დროებით საერთო საცხოვრებლად, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სწავლის მსურველთათვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე შემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის.

გარემონტებულია წინამძღვრიანთკარის სასწავლო კორპუსის ნულ სართულზე სტუდენტებისათვის ლანჩის ფართი სამზარეულოთი, მონყობილია ფიტნეს დარბაზი და ღია ფართი ტრენაჟორებისა და სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად, რაც აუცილებელია ინტეგრირებული (არამარტო მათთვის) სწავლების სტუდენტებისათვის, სადაც მიმდინარეობს ფიზიკური ვარჯიშები, შექმნილია სპორტული სექციები, ენობა შეჯიბრებები.

გარანტირებულ წარმატებას, უწინარეს ყოვლისა განაპირობებს, საუკეთესო საცდელ-სასწავლო მეურნეობა, სასწავლო-მატერიალური ბაზა, რისთვისაც კოლეჯის ტერიტორიაზე ეტაპობრივად შენდება სხვადასხვა პროფილის სახელოსნოები.

როგორც თქვენთვის ცნობილია, მცხეთა-მთიანეთის რეგიონს დიდი პოტენციალი გააჩნია ტურიზმის განვითარების სფეროში. ოთხივე მუნიციპალიტეტი და ქალაქი მცხეთა გამოირჩევა დიდი ისტორიული წარსულით, ძეგლებით, ადათ-წესებით და ტრადიციებით. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქ. მცხეთა, რომელიც იუნესკოს მიერ არის აღიარებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ტურიზმის მიმართულების პროგრამების დანერგვა, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმე-



ბის ხელშეწყობის მიზნით, 2024 წლისათვის დაგეგმილია კოლეჯის სასტუმროს ტიპის (80 კაცზე), საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რაც მნიშვნელოვანია პროფესიული სტუდენტების მოზიდვის მიზნით. ასევე დაგეგმილი გვაქვს აღნიშნულ კორპუსში სახელოსნოს მოწყობა: „სასტუმროს საქმის სპეციალისტის“ და „მიღება-განთავსების სპეციალისტის“ მოდულური პროფესიული პროგრამებისათვის.

მზადდება პროექტი დუშეთის მუნიციპალიტეტში კოლეჯის ბალანსზე რიცხული (რუსთაველის ქუჩაზე), პროფესიული სწავლების სასწავლო ფართის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვისა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მოწყობისათვის, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სტუდენტთა სასწავლებლად მოზიდვას კოლეჯში, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

კოლეჯის ადმინისტრაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელების, პროფესიული დეპარტამენტის და აიიპ პროფესიულიუნარების სააგენტოს მხარდაჭერით პოტენციურ დამსაქმებლებთან, დონორ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო უწყებებთან შეხვედრების შედეგად გეგმავს, რომ 2024 წლისათვის კოლეჯმა სამივე სასწავლო ფართში დაიმატოს სხვადასხვა აგრარული პროგრამების სპეციალობები, რომლებიც აუცილებელია საქართველოში, სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა პროექტების განხორციელებისათვის, აგრარული სპეციალობების დამატება ერთიანობაში უზრუნველყოფს სოფლად სიღარიბის დაძლევას, კოოპერ-



ატივების განვითარებას და ახალი სანარმოების დაფუძნებას, კერძოდ: ფერმერი, ბიომეურნეობა, ლანდშაფტური დიზაინი, სამკურნალო მცენარეების წარმოება, ფლორისტიკა (ყვავილების თაიგულების გაფორმება). აგრარულ პროფილთან ერთად კოლეჯში მიმდინარეობს სწავლება და უახლოეს მომავალში იგეგმება იმ ახალი სასწავლო პროგრამების დამატება, რომლებიც მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მცხოვრებლებს გამოადგებათ დასაქმებაში, როგორცაა: ქვის მხატვრული დამუშავება, სამშენებლო სპეციალობები (ფილათმწიფობი, სანტექნიკოსი) და სხვა სპეციალობები, რომლებიც მიესადაგება რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს.

ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯის სამომავლო გეგმებია, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ გააფართოოს აგროსექტორის დარგების და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოთხოვნადი პროფესიების სასწავლო პროგრამები, იყოს ლიდერი სოფლის მეურნეობის დარგების სწავლების მიმართულებით, სადაც არ იქნება არცერთი გაუთვალისწინებელი საკითხი, დაწყებული სასწავლო პრაქტიკული ნაწილიდან, ინფრასტრუქტურით დამთავრებული, სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხი, გაცვლითი საკვალიფიკაციო პროგრამები, მაღალი სტანდარტების კომპანიონები დასაქმების გარანტიებით. საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკის და მითუმეტეს მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისთვის, ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოს დასაყრდენი მოსახლეობის საშუალო



ფენის ჩამოყალიბება დარგის პროფესიონალ სპეციალისტებად.

პროფესიული კოლეჯის როლი ეკონომიკის აღორძინებისთვის კი მდგომარეობს პროფესიონალი კადრების მომზადებაში, რაც ერთგვარად სახელმწიფოს დასაყრდენის ჩამოყალიბებას ნიშნავს, რაც თავის მხრივ დასაქმების და თვით დასაქმების პრობლემასაც ხსნის. რასაც საქვეყნო მნიშვნელობა აქვს და არის ამ დროს ადეკვატური პასუხი დროის გამოწვევაზე.

კოლეჯის კეთილმოწყობა და მისთვის მინიჭება იმ ფუნქციისა, იმ პოტენციალის გამომჟღავნება, რომელიც ამ სასწავლებელს აქვს, თუნდაც რეგიონალური მნიშვნელობით და საქვეყნო მნიშვნელობითაც, ჩემი აზრით, ჩემი მოკრძალებული შეხედულებით, არის ადეკვატური პასუხი დროის გამოწვევაზე.

ილია წინამძღვრიშვილის კოლეჯის ადმინისტრაციამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანადგომით, ასევე გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)-ის, და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC)-ის, აი(ი)პ პროფესიული უნარების სააგენტოს და საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (GFA) თანამშრომლობით, ღირსეულად აღნიშნა 2018 წელს, საქართველოში პირველი ქართული სასწავლებლის, დაარსებიდან 135 წლის იუბილე, რისი მზადებაც იმ დროიდანაა დაწყებული, როდესაც ახლად დაფუძნდა კოლეჯი, იმ დღიდანაა დაწყებული სარემონტო-სარეაბილ-



იტაციო სამუშაოების და სასწავლო პროგრამების, მაღალ დონეზე განხორციელებისათვის სხვადასხვა სამუშაოების ჩატარება, რაც გრძელდებოდა 140 წლის საიუბილეო ღონისძიებისათვის და კვლავაც გააგრძელებს ამ სულისკვეთებით, მემკვიდრეობით მიღებულ საგანმანათლებლო საქმის კეთებას.

გისურვებთ წარმატებებს! დაიმკვიდრეთ თქვენი თავი წარმატებულთა შორის!

ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის კარილია სწავლის მსურველთათვის.

კოლეჯის წინამორბედის, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის ისტორიული მასალების ძიებისას, სხვა მნიშვნელოვან მასალებთან ერთად დაფიქსირებული იყო 140 წლის წინ, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გახსნის პერიოდისათვის ადმინისტრაციის წევრების და პედაგოგების გვარები. ასევე, იმ საზოგადო მოღვაწეთა ვინაობა, ვისაც წვლილი მიუძღვის იმ პერიოდში სასწავლებლის გახსნაში. ამიტომ, არც დღევანდელ დღეს შეიძლება დაინეროს ასეთ ისტორიულ სასწავლებელზე რაიმე, იმ თანამდებობის თუ რიგითი პიროვნების გვარების მოუხსენიებლად, ვისი მხარდაჭერითაც ხორციელდება 2010 წლიდან გაუქმებული კოლეჯის ახლიდან დაარსება, სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება (2015 წ.) და სასწავლო პროცესის დაწყება. პატივისცემით მინდა მოგახსენოთ მათი გვარები წლების მიხედვით:



საქართველს განათლების და მეცნიერების სამინისტრო

მინისტრი – თამარ სანიკიძე (2013-2016 წწ.)

მინისტრის პირველი მოადგილე – ქეთევან ნატრიაშვილი

მინისტრის მოადგილე – გიორგი შარვაშიძე

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

გენერალური დირექტორი – ვასილ მალლაფერიძე (2017-2020 წწ.)

ქალაქ თბილისის მერია

საკრებულოს თავმჯდომარე-გიორგი ალიბეგაშვილი (2014-2017წწ.)

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი – გოჩა ზეიკიძე (2016-2017 წწ.)

მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი – დავით ნოზაძე (2021-2023 წწ.)

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

მინისტრი – მიხეილ ბატიაშვილი (2018-2019 წწ.)

მინისტრი – მიხეილ ჩხენკელი (2019-2021 წწ.)

მინისტრის მოადგილე – თამარ ქიტიაშვილი (2019-2022)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მინისტრი – გიორგი ამილახვარი (2023 წ.)

მინისტრის მოადგილე – გელა გელაძე (2023 წ.)



მინისტრის მოადგილე – ნოდარ პაპუკაშვილი (2023 წ.)

მინისტრის მოადგილე – თამარ მახარაშვილი (2023 წ.)

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დირექტორი – ლევან სუხიტაშვილი

მოადგილე – გიორგი შალუტაშვილი

ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო

გენერალური დირექტორი – თამარ ქიტიაშვილი.

დონორი ორგანიზაციები:

ევროკავშირი საქართველოსთვის, შვეიცარიის მხარდაჭერისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლობა და გერმანიის სართაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება – GIZ.

საქართველოს სატყეო დეპარტამენტი

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

საქართველოს ტურიზმის ასოციაცია

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ KTW

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი „ჯილაურა“, შპს „სევსამორა“ და სხვები.

სსიპ – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ადმინისტრაციის წევრები



წინამძღვრიანთკარის სასწავლო კორპუსი (საერთო ფართი 4 062 მ²)

1. დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი – თეიმურაზ ასათიანი
2. დირექტორის მოადგილე-ედიშერ მიდელაშვილი
3. ხარისხის მართვის მენეჯერი – თეა ჩხიკვაძე
4. ხარისხის მართვის სპეციალისტი – ნინო რამიშვილი
5. სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი – მარიამ ჯოჯიშვილი
6. მთავარი ბუღალტერი-ხათუნა დეკანოიძე
7. ბუღალტერი – თინა ნარიმანიძე
8. საქმისმწარმოებელი – მარიამ ბიბილური
9. ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი – ლამზირა აბაიაძე
10. პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი – რევაზი ბინკინაშვილი
11. მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი – ირაკლი კუპატაძე
12. შესყიდვების სპეციალისტი – თორნიკე წინილაშვილი
13. იურისტი – თამარ ბექაური
14. რეესტრის წარმოების სპეციალისტი – თამარ აფციაური
15. ქსელის ადმინისტრატორი – კახაბერ ასათიანი
16. ბიბლიოთეკარი – ეკატერინე ჭყიშვილი
17. ლოჯისტიკის სპეციალისტი – ნონა ქენქაძე



18. სამეურნეო მართვის მენეჯერი – ნუგზარ ბუჩუკური
19. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი – გიორგი მახარაძე
20. ტექნიკური ზედამხედველი – თენგიზ ჩხაიძე
21. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი – ვეფხვია თავდგირიძე
22. აგრარული მიმართულების მენეჯერი – გიორგი ახვლედიანი, ნუკრი მახარაშვილი, მაია თევზაძე
23. ზრდასულთა განათლების კოორდინატორი – მარიამ ნავდარაშვილი
24. მექანიზაციის მენეჯერი – იაკობ მოხევიშვილი
25. მედდა – ხათუნა მჭედლიშვილი
26. დამლაგებლები: ხათუნა მაღალდაძე, სოფო ახალკაცი, მელანო ბაბუციძე, ნინო ჯოჯიშვილი, ლეილა ჭილლაძე.
27. დამხმარე თანამშრომლები: მაია ბოჭორიშვილი, ანზორ ნავდარაშვილი, ვასილ ჭილლაძე, ზურა ინაშვილი, ვანო თუთბერიძე
28. მებაღე – ზურა გასიევი
29. დაცვის უფროსი – ელგუჯა ჩანადირი
30. დაცვის თანამშრომლები: გიორგი ამირხანაშვილი, გურამ ჯოჯიშვილი, მერაბ მელიქიშვილი, სერგო ცისკაძე, გელა ყველაშვილი, ემზარი ბექაური, ფრიდონი რომელაშვილი, გენადი მეტრეველი, ჯიმშერი ძირკველიშვილი, გივი დორეული, გიორგი ბექაური, თამაზ ობგაიძე.



დაბა თიანეთის სასწავლო კორპუსი (საერთო ფართი 1664 მ²)

1. კოლეჯის დაბა თიანეთის დამატებით სასწავლო ფართში სასწავლო პროცესის მენეჯერი – თათია ბადურაშვილი
2. კოლეჯის დაბა თიანეთის დამატებით სასწავლო ფართში სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი – ინგა ჩიტაური
3. მედდა – თამარ ცალუღელაშვილი
4. დაცვის თანამშრომლები: თეიმურაზ მათურელი, თემურ ქიტესაშვილი, დავით ყორიაული.

დაბა სტეფანწმინდის სასწავლო კორპუსი (საერთო ფართი 613 მ²)

1. კოლეჯის დაბა სტეფანწმინდის დამატებითი სასწავლო ფართში სასწავლო პროცესის მენეჯერი – ნინო ელოშვილი
2. კოლეჯის დაბა სტეფანწმინდის დამატებითი სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი – მერიკო ჭიალაშვილი
3. მედდა – ნინო თამაზაშვილი
4. დაცვის თანამშრომელი – თამაზ ფიცხელაური, ვაჟა ალიბეგაშვილი.

ქალაქ დუშეთის სასწავლო კორპუსი (საერთო მიწის ფართი 6 230 მ²)

1. დაცვის თანამშრომელი – ანზორ ჭიაბრიშვილი
2. დაცვის თანამშრომელი – სპარტაკი მირზიაშვილი.

ასევე, აუცილებლად ჩავთვალეთ კოლეჯის ყველა იმ პედაგოგის მოხსენიება, რომლებიც კოლეჯის ახლად და-



ფუძნებიდან მუშაობენ კოლეჯში მაღალი წარმატებების მიღწევისათვის.

წინამძღვრიანთკარის სასწავლო ფართის პედაგოგები:
ედიშერ ასათიანი, ვალოდია ზედგინიძე, ლიანა პატაშური, დარეჯან ბუთურიშვილი, ნუკრი მახარაშვილი, მაია თევზაძე, გიგი ახვლედიანი, მაია მირველაშვილი, აიდა ქიტაშვილი-კვაჭანტირაძე, იოსებ ოსიტაშვილი, თეონა კეკოშვილი, ნანა კაციაშვილი, მამუკა მამუკაშვილი, ირმა გუბელაძე, ნანა ფარულავა, ნესტან ნათაძე, ხათუნა ჭეიშვილი, ქეთევან მელუა, თინა ჯოღბორდი, თამთა სისვაძე, ეკა ბექაური, თინა ხუროშვილი, თამუნა ზუბაშვილი, ხათუნა ფარეიშვილი, თეონა სუხიაშვილი, ვერა ჯღამაძე, ეკა სისაური, იაკობ მოხევიშვილი, ნათელა ბალაშვილი.

დაბა სტეფანწმინდის სასწავლო ფართის პედაგოგები:
ლია კახალიკაშვილი, თენგიზ ბულაშვილი, ქეთევან ალიბეგაშვილი, თამაზ ფიცხელაური, ვაჟა ალიბეგაშვილი, მანანა ლუდუშაური.

დაბა თიანეთის სასწავლო ფართის პედაგოგები: ნონა ფაშურიშვილი, მაია ბარაბაძე, გელა მოკვერაშვილი, ლერი ნაკვეთაური, ბადრი ჟიჟიაშვილი, თამაზი ჯანგირაშვილი, ლელა არაბული, ვალერი სუარიშვილი, თამარ ზატუაშვილი.

ზოგადად, ყველა ადამიანი აკეთებს საქმეს მათთვის, ვინც მათ შემდგომ მოვა. ჩვენი წინაპრების მიერ დაარსებული სასწავლებელი, თაობების მონაცვლეობით გადმოეცა ჩვენს თაობას და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ მათთვის, ვინც ჩვენს მერე ამ დიდებულ გზას და ტრადიციას გააგრძელებს.



თეიმურაზ ასათიანი – სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



პირველი სასწავლო კორპუსის შენობა
რეაბილიტაციამდე და რეაბილიტაციის შემდეგ













მელვინეობის სასწავლო კორპუსი რეაბილიტაციამდე
და რეაბილიტაციის შემდეგ






















ილია წინამძღვრიშვილის რეაბილიტირებული განსასვენებელი





მელვინეობის სასწავლო კორპუსის საზეიმო გახსნა



სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ ასათიანი და კოლეჯის საპატიო სტუმრები – თამარ კვინიკაძე – პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი და გოჩა ქავთარაძე – მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე.



ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის
140 წლის იუბილეს საპატიო სტუმრები



















საპატიო სტუმარი, პოეტი ტარიელ ხარსელაური







კოლეჯის ადმინისტრაციის წევრები და პედაგოგები



გამოყენებული ლიტერატურა:

1. წინამძღვრიშვილი ი. ბატ.რედაქტორი! (პასუხი ივ. როს-ტომაშვილს სას.-სამ. სასწავლებლის წესდების შენიშვნის გამო) – გაზეთი „დროება“, 1881წ. 6 თებერვალი, 27, გვ.3;
2. გაზეთი „დროება“ 1881წ. N27;
3. გაზეთი „დროება“ 1881წ. N36;
4. გაზეთი „დროება“ 1881წ. N180;
5. გაზეთი „დროება“ 1881წ. N168;
6. გაზეთი „დროება“ 1881წ. N189;
7. გაზეთი „დროება“ 1881წ. N210;
8. გაზეთი „დროება“ 1881წ. N272;
9. გაზეთი „დროება“ 1882 წ. N27;
10. გაზეთი „დროება“ 1883 წ. N142;
11. გაზეთი „დროება“ 1883 წ. N9;
12. გაზეთი „დროება“ 1883 წ. N106;
13. გაზეთი „დროება“ 1883 წ. N107;
14. გაზეთი „დროება“ 1883 წ. N142;
15. გაზეთი „დროება“ 1884 წ. N140;
16. გაზეთი „დროება“ 1884 წ. N7, გვ.99;
17. გაზეთი „დროება“ 1886 წ. N141;
18. გაზეთი „დროება“ 1887 წ. N134;
19. წინამძღვრიშვილი ი. ვაზის მოშენება (*Vitis vinifira*)
20. ტფ.1889 წ.გვ.159;
21. გაზეთი „ივერია“ 1890 წ. N77;
22. გაზეთი „ივერია“ 1892 წ. N36;



23. გაზეთი „ივერია“ 1894 წ. N88;
24. გაზეთი „ივერია“ 1895 წ. N201;
25. გაზეთი „ივერია“ 1899 წ. N123;
26. გაზეთი „ივერია“ 1899 წ. N144;
27. გაზეთი „ივერია“ 1902 წ. N169;
28. გაზეთი „ივერია“ 1903წ. N114;
29. სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატორო ჟურნალი“ 1913 წ. 7;
30. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები – კრებული N, 1955 წ;
31. თემურ ასათიანი – ქველმოქმედი ილია წინამძღვრიშვილი – 2018 წ.



ეპილოგი

მოგეხსენებათ, საქართველო ოდითგან მთისა და ბარის ერთობით იყო ძლიერი. ბარს მთა იცავდა, მთას კი ბარი განამტკიცებდა. დღეს კი მთიანეთი დაცლის პირასაა და მიტოვებულია, არა მარტო სოფლები, არამედ მთელი კუთხეები, კერძოდ: თუშეთი, ხევსურეთი, ფშავის ნაწილი და სხვა. არადა, ამ ტერიტორიების განსაკუთრებულობას ისიც განაპირობებს, რომ ისინი საზღვრისპირა რეგიონებია და მათ სტრატეგიული დანიშნულება აქვთ. მთის თემის აქტუალობიდან გამომდინარე უნდა განვითარდეს ისეთი საქმიანობა, რომელიც კავშირშია მინასთან, მცენარეებთან, ცხოველებთან. განსაკუთრებით სასარგებლოა მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეფუტკრეობა, მინის ერთობლივი დამუშავებისათვის კი უნდა შეიქმნას უფრო მეტი ფერმერული მეურნეობები, რადგან ისეთი პატარა ქვეყნისათვის როგორც საქართველოა მინას, წყალს, ტყეს და სასარგებლო წიაღისეულს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ამიტომაც, მენარმეების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყოს ყველა რეგიონის პროფესიულ სასწავლებლებში რეგიონის შესაბამისი დარგების სწავლებას. უნდა დაარსდეს ბიზნესის შემსწავლელი სპეციალობებიც. თეორიულ ცოდნას მეცნიერება იძლევა, პრაქტიკულს – ყოველდღიური გამოცდილება და შრომა. თეორიული ცოდნა ღირებულია მაშინ, თუ



იგი ცხოვრებაშია გამოყენებული. ამისთვის უნდა შეიქმნას სპეციალიზირებული სახელოსნოები და ხელი შეეწყოს წარმოებული პროდუქციის რეალიზებას. ვფიქრობ, რომ საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კარგი შესაძლებლობა გვაქვს და ამ სახით მსოფლიო ბაზარზე მყარად დამკვიდრების პერსპექტივაა. ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ნაწარმი, თუ მათი გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტები, სერიოზულ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას. საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ღვინის წარმოების წამყვანი ქვეყანა. დღევანდელი ყოფა რომ უკეთესობისკენ შეიცვალოს, საჭიროა ხელი შეეწყოს სახელმწიფოს დასაყრდენ – მოსახლეობის საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით მიიღწევა. არადა, საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ეკონომიკის და მითუმეტეს მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებისათვის. თუ მენარმეობა განხორციელდა მოკლე დროში, შესამჩნევი იქნება წინსვლა, ვინც წინ არ მიდის, ის უკან მიდის, რადგან შეუძლებელია ერთ ადგილზე დგომა.

ძველი რომაელები ამბობდნენ: „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად“-ო. ამ მრავალცვალებად ყოფაში საზოგადოებისათვის ყველაზე მძიმე გადასატანი ყოველთვის გარდამავალი პერიოდი იყო, ჩვენი თაობაც სწორედ ასეთი პერიოდის მომსწრე და მონაწილეა.



ნათელია, რომ მეტად რთულ დროში გვინევს ცხოვრება, ეს არის ხანა მარადიული ღირებულებების რყევისა და მსხვრევისა.

საზოგადოებრივი ყოფის დღევანდელი ფორმა თავის-თავად ითხოვს ადამიანისგან მრავალ სიახლეს: ახლებურად აზროვნებას, ღირებულებათა და წარმოდგენათა გადაფასებას, ადამიანის ჰარმონიული განვითარებისთვის აუცილებელია როგორც ინტელექტუალური, ისე შემოქმედებითი და ფიზიკური შრომა. „რასაც დასთეს კაცი, მასვე მოიმკის“.

რა გზით ვიაროთ?

უნდა ვიაროთ ბნელიდან ნათლისაკენ!

ეს გზა ერთადერთია, ესაა ბნელისგან ნათლის გამოყოფის და მისი გამარჯვების პროცესი!

*სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის
სახელობის კოლეჯის“ დირექტორი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
თეიმურაზ ასათიანი*

